



საპროტესტო აქციების მონიტორინგი

შემატყამებელი ანგარიში - 2022 წლის აპრილი-ივნისი



საპროტესტო აქციების მონიტორინგი

შემაჯამებელი ანგარიში
(2022 წლის აპრილი-ივნისი)



აპტორი: გიორგი ტყეებუაგა

რედაქტირება: ალექო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბაგა

მონიტორები: სალომე ბუთხუბი, თამარ ქურთაული, კარლო შერაბადიშვილი

ფოტო ყდაგა: კარლო შერაბადიშვილის

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გაბოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: <http://www.humanrights.ge>

ვებ-საიტი: hrc.ge



ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევნი

ზოგადი მიმოხილვა	5
მეთოდოლოგია.....	5
საპროექტო აქციაების მონიტორინგი.....	6
დასკვნა.....	12
რეკომენდაციები.....	13

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, 2022 წლის 1 აპრილიდან - 30 ივნისამდე, საქართველოში გამართული საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული პრობლემური ტენდენციების, დარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

83. | 5

დოკუმენტში განხილულია თბილისსა და რეგიონებში სამოქალაქო მოძრაობების, პოლიტიკური პარტიების და სხვა ჯგუფების, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებული სოციალური, პოლიტიკური შინაარსისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა სახის საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ 2022 წელსაც, მონიტორინგის პერიოდში, ქვეყანაში ჩატარებულ საპროტესტო აქციათა დიდი ნაწილის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი შეკრების უფლების სხვადასხვა ფორმით დარღვევას.

შეკრება/მანიფესტაციის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით, მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, პრობლემურ საკითხებად გამოიკვეთა შეკრების არასათანადო და არაეფექტიანი მართვა, აგრეთვე - სპონტანური აქციების ფარგლებში ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის შეუძლებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი, რასაც საქართველოში რეგულარული ხასიათი აქვს. აგრეთვე, გამოვლინდა პროტესტის ორგანიზატორთა და დემონსტრანტების ძალაუფლების გადამეტებით დაკავებისა და დაჭარილების შემთხვევები.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ, აქტიურად განაგრძობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებას აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ, ძირითადად - მათი დისკრედიტაციის, დაშინებისა და საპროტესტო აქციებისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესებიც აჩვენებს, რომ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებს, ძირითადად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა) და 150-ე (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) მუხლების საფუძველზე აკავებენ. ამ მუხლების გამოყენებით, შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის შემთხვევები წლების განმავლობაში დოკუმენტირებულია, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ¹.

მეთოდოლოგია

საპროტესტო აქციების მონიტორინგს ახორციელებდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 3 მონიტორი, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული მეთოდოლოგიით მუშაობდნენ². მონიტორები ყოველი აქციისა და სასამართლო მოსმენის შემდეგ აფიქსირებდნენ მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც აჯამებდა და ანალიტიკური დოკუმენტებისთვის იყენებდა

¹ საპროტესტო აქციების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <http://hrc.ge/files/reports/161agciebi-geo.pdf>; საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები - შემაჯამებელი ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020: <http://hrc.ge/files/reports/36agciebis%20monitoring%20-geo.pdf>

² ინფორმაცია OSCE/ODIHR-ის ტრენინგის შესახებ: <https://bit.ly/2Qmse8R>

მონიტორინგის ფარგლებში, ანგარიშის მომზადებისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა აქციებისა და სასამართლო პროცესების დროს მონიტორთა მიერ შედგენილი ანგარიშები, ასევე - საპროტესტო აქციების მსვლელობისას პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიასაშუალებების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეომასალა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აქციებს აკვირდებოდნენ როგორც უშუალოდ საპროტესტო აქციების მსვლელობის ადგილზე, ისე დისტანციურად სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების Live Streaming-ის საშუალებით. დასაკვირვებელ აქციათა დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მონიტორები სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან - Facebook-იდან იღებდნენ, სადაც ორგანიზატორები დაგეგმილ აქციათა შესახებ ინფორმაციას ავრცელებდნენ.

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია, რამდენად შეესაბამება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული პროცედურები აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

საპროტესტო აქციების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში - 2022 წლის აპრილი-ივნისში გამართულ 7 საპროტესტო აქციაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აქციათა უმრავლესობა, დემონსტრანტთა მხრიდან მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. გამონაკლის შემთხვევებში, დემონსტრანტთა ქმედებების მასშტაბი არ აღწევდა იმ ზღვარს, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს შექმნიდა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რიგ შემთხვევებში, დემონსტრანტთა მხრიდან წინააღმდეგობის განწევა პროვოცირებული იყო საპოლიციო ძალების რეპრესიული პოლიტიკის შედეგად. ამ შემთხვევაში, ზოგადი შეფასებით, დემონსტრანტების ქცევა იმგვარი ბუნებისა და ხარისხის იყო, რომ დემონსტრაციაში მათი მონაწილეობა ლეგიტიმურად უნდა შეფასდეს როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების დაცვის კუთხით.

1. 2022 წლის 11 აპრილს, 19:00 საათზე, ქ. თბილისის საკრებულოს შესასვლელთან, სამოქალაქო აქტივისტის, ნატა ფერაძის ორგანიზებით, აქციის მონაწილეები შეიკრიბნენ მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. ისინი თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის ქანდაკების ირგვლივ განთავსდნენ ბანერებით და უკრაინის დროშებით. აქცია მცირემასშტაბიანი იყო და ამასთან, მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ ჰქონდათ ბანერები წარწერით და ისმოდა შეძახილები: „გადადგები რუსეთთან მეგობრობის გამო“, „შენ წახვალ“, „გადადექი, მოლალატევ“. აქციის მონაწილეთა მიმართ ხელშეშლის, დაკავებისა და დაჯარიმების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

2. 2022 წლის 5 მაისს, 19:00 საათზე, საპროტესტო აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები შეიკრიბნენ ქ. თბილისში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის წინ, პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილისთვის სათანადო მკურნალობის ხელმისაწვდომობის, საზღვარგარეთ მისი სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნით. აქციაში, დაახლოებით, 500-დან 700-მდე მოქალაქე მონაწილეობდა. ადგილზე მობილიზებული იყო შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, კრიმინალური პოლიციის და სახელმწიფო დაცვის სამსახურის წარმომადგენლები. ადგილზე იყო დაახლოებით 30-დან 40-მდე საპატრულო პოლიციის მანქანა, 5-მდე ე.წ. დაკავების მანქანა და, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაბურულმინიანი ავტომობილები.

19:10 სთ-ზე, აქციის მონაწილეებს მიმართეს ორგანიზატორებმა. ასევე, სიტყვით გამოვიდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. აქციაზე ისმოდა სხვადასხვა მონოდეტები, მათ შორის - პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტისათვის ყველანაირი სასჯელისა და ბრალდებების მოხსნის მოთხოვნა. აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა - აქციის მონაწილეებიდან არავინ არ გასულა მშვიდობიანი აქციისათვის დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან. აქცია დასრულდა 20:40 საათზე. დაშლამდე ორგანიზატორებმა დააანონსეს მომდევნო აქციები საქართველოს სხვა ქალაქებში.

ამ აქციაზე 2 ინციდენტი დაფიქსირდა. აქციაზე მოსულმა ერთ-ერთმა პიროვნებამ აქციის მონაწილეებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა, რასაც მოჰყვა დაპირისპირება. ამ ინციდენტზე სამართალდამცავებმა მაშინვე მოახდინეს რეაგირება - პიროვნება განარიდეს აქციას. მეორე ინციდენტი შეეხებოდა აქციის მიმდებარედ სიტყვიერ შელაპარაკებას გვერდით ქუჩიდან მომავალ მოქალაქეს (სავარაუდოდ - აქციის მონაწილე) და სამართალდამცველს შორის, რის შემდეგაც ეს პიროვნება დააკავეს.

რაც შეეხება ინციდენტის გამომწვევი პირის აქციიდან განრიდების საკითხს, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მმართველობითი ფუნქციაა. ის მოიცავს მოქალაქეების დაცვის გარანტიების შექმნის ვალდებულებასაც. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით, პოლიციელი ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს; საპოლიციო ღონისძიების განხორციელების წინაპირობა საფრთხის შეფასებაა³. საფრთხის ცნება პოლიციის პრევენციულ საქმიანობას შემოფარგლავს. ამავდროულად, ის განსაზღვრავს მის საწყის და სასრულ ნიშნულებს და პარალელურად, სახელმწიფოს მხრიდან დაუსაბუთებელი ჩარევისაგან მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს იცავს. ამგვარი საფრთხის ცნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან პოლიციის საქმიანობის შესაბამისობას უზრუნველყოფს⁴. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი, რომელიც ეხება ადგილის დატოვების მოთხოვნას და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას. ამ მუხლის თანახმად, პოლიციელი უფლებამოსილია, პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება ან აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ხოლო ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შემდგომი შესაძლებელია, გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე. ამასთან, ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება არ უნდა იწვევდეს პირის უფლების ხანგრძლივ შემდგომს, ისარგებლოს საკუთარი საცხოვრებელი ადგილით⁵.

საფრთხის განმარტება, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, გერმანულ სამართალში ჩამოყალიბდა, რომლის თანახმადაც, ეს არის ვითარება, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს შესაბამისი ალბათობა, რომ მისი მიაღწევს კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს⁶. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში საფრთხის ცნება განმარტებული არ არის. ამ ტერმინის დეფინიციას შეიცავს საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, რომლის თანახმადაც, საფრთხე - ეს არის ვითარება, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მისი მიაღწევა პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს⁷.

³ საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მე-3 მუხლი. <https://bit.ly/3xAjsu5>

⁴ ბერაია ი., გელაშვილი ნ., გიორგიშვილი ქ., იმორია ლ., კილაძე ს., მუზაშვილი დ., ტურაგა პ., საპოლიციო სამართალი, გამომცემლობა „შსს აკადემია“, თბილისი, 2015, გვ. 113.

⁵ საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, 25-ე მუხლი. <https://bit.ly/3xAjsu5>

⁶ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1974 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება - 45 - 51.

⁷ საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი.

აგრეთვე, საინტერესოა, განვიხილოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი, რაც წარმოადგენს ერთადერთ შემთხვევას, რა დროსაც, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დასაშვებია სამართალდარღვევაზე რეაგირების დროს სიტყვიერი შენიშვნის მიცემა⁸. ეს ეხება უმნიშვნელო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას. თუ ჩადენილია უმნიშვნელო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილი ორგანოს თანამდებობის პირს, შეუძლია, გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება გამეორებით ან თუკი დამრღვევის მიმართ, ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის, ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა. სიტყვიერი შენიშვნის მიცემას, საფრთხის შეფასების შემდეგ, როგორც წესი, პრაქტიკაში კონკრეტული პირის განრიდება ან დაკავება მოყვება. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის ტენდენცია, რომ ხელისუფლება, ისევე, როგორც გასულ წლებშიც, ოპოზიციურად განწყობილი პირების მიმართ, ძირითადად, განრიდებას არ მიმართავს და პირდაპირ დაკავების გადაწყვეტილებას იღებს⁹. გამომდინარე იქიდან, რომ საფრთხის ცნება განუსაზღვრელი სამართლებრივი ტერმინია, ხელისუფლება, ხშირ შემთხვევაში, ბოროტად იყენებს ამ შესაძლებლობას და რეპრესიულ პოლიტიკას ატარებს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ, ხოლო ძალადობრივი აქციების ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიმართ, შემწყნარებლურ პოლიტიკას მიმართავს.

3. 2022 წლის 6 მაისს, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად ქალაქ ბათუმში აქცია გაიმართა. დაახლოებით 20:00 საათზე, აქციის ორგანიზატორის, გიორგი კირთაძის მოწოდებით, დაიწყო აქცია-მსვლელობა რუსთაველის ქუჩაზე. აქციის მონაწილეები გადაადგილდებოდნენ სატრანსპორტო გზის ორივე სავალ ნაწილზე. პოლიციელთა მოთხოვნის შესაბამისად, მათ გადაინაცვლეს მხოლოდ ერთ მხარეს და ცალმხრივი მოძრაობა აღდგა.

საბოლოოდ, გვემის თანახმად, აქციის მონაწილეები აჭარის მთავრობის სახლთან შეჩერდნენ. აბაშიძის ქუჩაზე დამონტაჟებული სცენიდან აქციის მონაწილეებს მიმართა მიხეილ სააკაშვილის ძმამ, გიორგი სააკაშვილმა, ენმ-ის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ამ აქციის ორგანიზატორმა გიორგი კირთაძემ, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგი უგულავამ, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და საკრებულოს წევრებმა „ნაციონალური მოძრაობიდან“.

აქციის მონაწილეებმა მალევე დაიწყეს კარგების დადგმა, რისთვისაც სამართალდმცავებს თავიდან, ხელი არ შეუშლიათ. დაახლოებით, 02:00 საათიდან - 04:00 საათამდე, სამართალდამცველებმა დაიწყეს კარგების იძულებით აღება და აქციის მონაწილეთა დაკავება. ისინი ტროტუარზე დგომისკენ მოუწოდებდნენ ადგილზე მყოფ აქციის მონაწილეებს. გზის გასუფთავებისათვის დაურევს შესაბამის სამსახურს და იმ ღამესვე გაასუფთავეს. აქციაში დაახლოებით 800 ადამიანი მონაწილეობდა. აქციაზე თითქმის ყველა ასაკის ადამიანი იყო, მათ შორის - ბავშვები, მით უმეტეს - სანყის ეტაპზე.

კარგების დაშლისა და აქციის მონაწილეთა დაკავებისას, სამართალდამცავთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას. ეს გავრცელებული ვიდეოკადრებიდანაც ჩანს¹⁰. აქციაზე 25 ადამიანი დააკავეს, მათ შორის _ ორი ქალი. აქციის მონაწილეებს ძალის გამოყენებით ერთობლივად რამდენიმე პოლიციელი აკავებდა. გარდა ამისა, სამართალდამცავები არ იძლეოდნენ განმარტებას, თუ რა მუხლის საფუძველზე, რა

⁸ საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, 22-ე მუხლი. <https://bit.ly/3xAjsu5>

⁹ სამართლიანი სასამართლოს უფლება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში- პრობლემათა ანალიზი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. <https://bit.ly/3tta2tT>

¹⁰ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3Mj3SHn>

მიზეზით აკავებდნენ პირებს და აცხადებდნენ, რომ ამაზე განმარტება შემდგომ გავრცელდებოდა. აქციის მონაწილეები დააკავეს, მაგალითად, ხმამაღალი საუბრისა და ყვირილის გამო. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, თუ სად გადაიყვანეს დაკავებულები. მათი ადგილსამყოფელის თაობაზე არ ჰქონდათ ინფორმაცია ოჯახებს. როგორც გაირკვა, დაკავებულები სხვადასხვა სამმართველოს დროებით იზოლაციაში მოათავსეს. ადგილზე იყო როგორც საპატრულო, ისე კრიმინალური პოლიცია. შსს-ს მიერ 7 მაისს გავრცელებული განცხადების თანახმად, აქციის მონაწილეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების საფუძველზე დააკავეს¹¹. გავრცელებული ინფორმაციით¹², ადგილზე მობილიზებული იყო აჭარისა და გურიის სამმართველოს როგორც საპატრულო, ისე კრიმინალური პოლიცია.

ა) დემონსტრანტების ქცევა და სამართალდამცველთა ქმედებები

OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო მითითებებით, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აგება მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროს განეკუთვნება¹³. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ მიღებული ერთ-ერთი გადანყვეტილებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „კონტროლირებად ტერიტორიებზე“ კარვებისა და სხვა კონსტრუქციების აგების ამკრძალავი აქტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევად მიიჩნია. ამას ის განაპირობებს, რომ კარვის აგებას, როგორც პროტესტის ფორმასა და საშუალებას, საპროტესტო გზავნილისგან განუყოფელი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს შეძენილი¹⁴. ეროვნულ დონეზე კი, 2016 წლის 31 აგვისტოს გადანყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი თანხმობის გარეშე კარვის განთავსება მშვიდობიანი შეკრების უფლებას განეკუთვნება. სასამართლოს განმარტებით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას, რაც მოიცავს დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობას“¹⁵.

შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისს სამართალდამცავთა ქმედებების გასამართლებლად შსს-ს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ვერ აკმაყოფილებდა უფლებაში ჩარევისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებების სტანდარტებით დადგენილ საბაზისო მოთხოვნებს¹⁶. ასევე, უკანონოდ, მძიმე დარღვევებითა და ძალაუფლების გადამეტებით წარიმართა აქციის ორგანიზატორთა/მონაწილეთა დაკავება, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სარგებლობდნენ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით.

ბ) სამართალდამცავთა აუცილებლობა და პროპორციული რაოდენობა

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პოლიცია ვალდებულია, ხელი შეუწყოს შეკრებას მის შესახებ შემოტანილი შეტყობინების ან ორგანიზატორებთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად. სამართალდამცავი ორგანოები ყოველთვის უნდა ეცადონ, რომ ადგილზე რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობის საპოლიციო რესურსები განალაგონ, რითაც ღონისძიების მშვიდობიანად ჩატარებას შეეწყობა ხელი. აგრეთვე, შეკრების მიმდინარეობისას ტაქტიკურმა მეთაურებმა მუდმივად უნდა შეიტანონ კორექტივები

¹¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება [07-05-2022]. <https://bit.ly/3ahH10u>

¹² ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3zeyLTK>

¹³ ob. Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, second edition, §18, Warsaw/Strasbourg 2010. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bpf1C4>

¹⁴ ob. Tabernacle v Secretary of State for Defence [2009] EWCA Civ 23 (05 February 2009). <https://bit.ly/3bjcv4g>. ასევე, ob. European Commission for Democracy through law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 148. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3hfX9R2>

¹⁵ ob. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადანყვეტილება საქმეზე №3/6463–16.

¹⁶ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი: <https://bit.ly/361aTdv>

საპოლიციო ოპერაციაში. ღონისძიების მანძილზე მათი პრაქტიკული ქმედებები გადაწყვეტილებების მიღების მოდელზე უნდა იყოს დაფუძნებული¹⁷.

ეროვნულ დონეზე, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებები უზრუნველყოს შეკრებისა და მანიფესტაციის დაუბრკოლებლად, ექსცესების გარეშე მიმდინარეობა, რაც 6 მაისის აქციაზე არ იყო დაცული.

გ) შეკრების მონაწილეთა დაკავების/დაჯარიმების პრაქტიკა

სამართალდამცავი ორგანოები შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების სანინაალმდეგოდ აქტიურად ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების აქციის მონაწილეთა მიმართ უკანონოდ გამოყენებას. როგორც გამოიკვეთა, გრძელდება ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, დაკავებულთა ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ ატყობინებენ დაკავებულთა ადგილსამყოფელის შესახებ. შესაბამისად, ადვოკატები ვერ ახერხებენ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა დროულ მონახულებას, მათთან გასაუბრებას და დაცვის სტრატეგიის შეთანხმებას. ზოგადად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადვოკატებისთვის ცნობილია დაკავებულთა ადგილსამყოფელი, მათ საათების განმავლობაში ექმნებათ დაბრკოლება დაკავებულებთან შეხვედრის პროცესში. ასევე, ძირითადი პრობლემა, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, არის მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა უფლებების შეზღუდვის ზრდის ტენდენცია აღნიშნული ნორმების საფუძველზე მაშინაც კი, როდესაც შეკრება კანონის ფარგლებში მიმდინარეობს.

საბოლოო ჯამში, აქციის მიმდინარეობისას, დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავებები და ადმინისტრაციული ჯარიმები არსებითად დაუსაბუთებელი იყო და მიმართული იყო არა საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად, არამედ საპროტესტო მუხტის შემცირებისკენ.

2022 წლის 18 მაისს, მას შემდეგ, რაც 16 მაისს „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით განესაზღვრა, მედიასაშუალებების მიერ დაიგეგმა „სოლიდარობის მარში“, რომელშიც 1000-მდე ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის - ჟურნალისტები. დემონსტრანტები პირველი რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბნენ, შემდეგ მსვლელობა მოეწყო პარლამენტისკენ, მოგვიანებით კი „მთავარი არხის“ შენობისკენ გადაინაცვლეს. აქციაზე იყვნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები, მათ შორის, ბავშვებიც. მარშში მონაწილეობდნენ მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები და სხვ. აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და რაიმე სახის დარღვევა არ დაფიქსირებულა.

2022 წლის 17 მაისს, გაიმართა აქცია–მსვლელობა ოჯახის სინმინდის დღის აღსანიშნავად. აქცია დაიგეგმა სოციალური ქსელებით, სხვადასხვა ჯგუფის მიერ, მათ შორის, Facebook ჯგუფით - „ეროვნული ფრონტის ხაზზე“. აქციის მონაწილეები თავდაპირველად შეიკრიბნენ რესპუბლიკის მოედანზე, დილის 10:00 საათზე და დაიწყეს მსვლელობა რუსთაველის გამზირის მიმართულებით. აქციის მონაწილეებს ჰქონდათ ბანერები წარწერით: „17 მაისი ოჯახის სინმინდის დაცვის დღეა“, „დაიცავი ოჯახის სინმინდე“, „ნუ გადავაცეცვთ საქართველოს სოლომ-გომორად“.

აქციაში მონაწილეობდა, დაახლოებით, 4000- მდე ადამიანი, მათ შორის იყვნენ ისეთი

¹⁷ Human Rights Handbook on Policing Assemblies, გვ. 92. <https://bit.ly/37KoXsa>; ასევე, ob: Makaratzis v. Greece, Application No. 50385/99, 2004. <https://bit.ly/33TsF1B>

ადამიანები, რომლებიც ხშირად გამოირჩევიან ჰომოფობიური განცხადებებით. თუმცა, ამ აქციაზე მსგავს განცხადებებსა და მოწოდებებს ადგილი არ ჰქონია. აქციის მსვლელობას აკონტროლებდა საპატრულო პოლიციის დაახლოებით 100-მდე თანამშრომელი. თავდაპირველად, აქციის მონაწილეები გადაადგილდებოდნენ საფეხმავლო ბილივზე, მაგრამ ქაშუეთის ეკლესიასთან მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა და მათ გზის სავალ ნაწილზე გადაინაცვლეს.

საპატრულო პოლიციამ ორგანიზებულად შეზღუდა ავტომობილთა გადაადგილება აღნიშნულ მარშრუტზე და, შესაბამისად, ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. აქციაზე ორგანიზატორებს ჰქონდათ დინამიკები, რითაც ხმამაღლა ისმოდა ქართული საგალობლები, ხალხური სიმღერები და ასევე საქართველოს პატრიარქის მიმართვა ხალხისადმი, ოჯახის სინამდის დღესთან დაკავშირებით. დაახლოებით 14:00 საათზე, ქაშუეთის ეკლესიასთან შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა მსვლელობა განაგრძეს სიონის საკათედრო ტაძრისკენ. შესაბამისად, საპატრულო პოლიციამ ეტაპობრივად დაიწყო შეზღუდული სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენა.

აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და აქციაზე დაკვირვების დროს, არ გამოვლენილა აქციის მონაწილეთა მხრიდან კანონდარღვევის ფაქტები. არ ყოფილა კონტრაქცია. ასევე, არ მომხდარა დაპირისპირების ფაქტი მონაწილეებს ან პოლიციასა და მონაწილეებს შორის. პოლიციელთა რაოდენობა და ქმედება შეესაბამებოდა აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებას.

17 მაისი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა¹⁸. ეს დღე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ფართო შინაარსის იდეაზე დგას და LGBTQ ადამიანების სტრუქტურული ჩაგვრისა და ცხოვრების ყველა სფეროდან სოციალური გარიყულობის აღიარებას მოითხოვს. საქართველოში კი 17 მაისი ამ ჩაგვრული ჯგუფისთვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის ბრძოლის დღედ მიიჩნევა, რომელიც LGBTQ ადამიანებისა და აქტივისტებისთვის, ფაქტობრივად, ჩამორთმეულ უფლებას წარმოადგენს. თუმცა, 2014 წელს, ჰომოფობიურ ნიადაგზე, საქართველოს საპატრიარქომ 17 მაისი ოჯახის სინამდისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა¹⁹. ამ დღეს ყოველწლიურად მართლმადიდებელი სასულიერო პირები აორგანიზებენ მსვლელობას რუსთაველის გამზირზე, სადაც ამ აქციას, როგორც წესი, უერთდებიან ჰომოფობიური ჯგუფების წარმომადგენლებიც. შესაბამისად, მათთან დაპირისპირების და ძალადობის თავის არიდების მიზნით, LGBTQ აქტივისტები და მათი მხარდამჭერები ვეღარ ახერხებენ რუსთაველის გამზირზე შეკრებას და ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნას.

2022 წლის 18 მაისს, 19:00 საათზე, ქ. ბათუმში, ნიკა გვარამიას მხარდამჭერი კიდევ ერთი აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები ცენტრალური პარკის კოლონადებთან შეიკრიბნენ, შემდეგ მსვლელობა მემედ აბაშიძის გამზირზე მოაწყვეს და მივიდნენ აჭარის მთავრობის სახლთან. აქციაზე იყვნენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვ. ჯამში 200 ადამიანამდე. აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და რაიმე სახის დარღვევა არ დაფიქსირებულა.

2022 წლის 20 ივნისს, გაიმართა აქცია, სახელწოდებით - „**ევროპის მარში**“, ლომუნგით „**შინ ევროპისკენ/წინ ევროპისკენ**“²⁰. აქცია სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიამ“ 2022 წლის 8 ივნისიდან წინასწარ დააანონსა, რომლის მთავარი მიზანი იყო, ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მოლოდინში, საქართველოს პარლამენტის წინ მოქალაქეების შეკრება და ამით მსოფლიო საზოგადოებისათვის ევროპული არჩევანისა და დასავლური ღირებულებებისადმი ქართველი ხალხის ერთგულების

¹⁸ 17 May - International Day against Homophobia: <https://bit.ly/3NAnokn>

¹⁹ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3mqjkaP>

²⁰ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3bsG8nK>

დემონსტრირება.

ხელისუფლების წარმომადგენლები აქციას დაანონსების დღიდან, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან და ოპოზიციასთან აკავშირებდნენ²¹. თუმცა, არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი დემონსტრაციაზე სიტყვით არ გამოხატულა. „სირცხვილიას“ მიერ 20 ივნისს ორგანიზებული აქციის თაობაზე რამდენიმე დღით ადრე - 13 ივნისის მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმაც ისაუბრა. მან განაცხადა, რომ მოსალოდნელი იყო პროვოკაციები და მთავრობა კანონის ფარგლებში ამას არ დაუშვებდა. ღარიბაშვილს არ განუმარტავს, საიდან ჰქონდა ინფორმაცია შესაძლო პროვოკაციის შესახებ²². გარდა ამისა, ძალადობრივი და პრორუსული დაჯგუფება „ალტ-ინფო“, 20 ივნისს პარლამენტთან კონტრაქციას აანონსებდა. მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, კოკა მორგოშიამ განაცხადა, რომ იმ ადგილას შეიკრიბებოდნენ, სადაც „სირცხვილიას“ აქცია „შინ ვეროპისკენ!“ იყო დაგეგმილი²³. თუმცა, 20 ივნისის აქციაზე, სავარაუდოდ, უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი აქციის გამო, მათ კონტრაქცია არ გაუმართავთ. ამავე დროს, კონტრაქციის გაუქმების შესახებ ინფორმაციაც არ გაუვრცელებიათ.

აქციაზე მომიტინგეებს სიტყვით მიმართეს სტუდენტებმა, უკრაინაში მებრძოლმა ქართველებმა, ევროპარლამენტარებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა. ამასთან, მოძრაობა „სირცხვილიამ“ აქციაზე წაიკითხა მანიფესტი და დააანონსა ახალი სახალხო მოძრაობის დაფუძნება²⁴. მანიფესტის მიხედვით, მოძრაობის მიზანი იქნება საქართველოს ევროპული არჩევანის დაცვა. აქციას შეუერთდნენ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებიც²⁵.

აქციის მამულებრივიდან გამომდინარე, ძალიან რთულია 20 ივნისს აქციაზე მყოფი მოქალაქეების რაოდენობის ზუსტად და ობიექტურად განსაზღვრა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დემონსტრაცია აქციის პიკისას იწყებოდა პირველი რესპუბლიკის მოედნიდან და მთავრდებოდა თავისუფლების მოედანთან. მაგალითად, „ნეტგაზეთის“ მიერ დემონსტრანტების რაოდენობის მიახლოებითი დათვლით, მათი რაოდენობა მინიმუმ 120 000 იყო, მაქსიმუმ კი — 160 000²⁶. ამავე წყაროს მიხედვით, დემონსტრაციისა თუ სხვა ხალხმრავალი ღონისძიების მონაწილეთა რაოდენობის ზუსტად გამოთვლის მცდელობა ამაოა. შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებითი მასშტაბების დადგენა, რისთვისაც „ნეტგაზეთმა“ გამოიყენა მეთოდი, რომელსაც მრავალი წელია, არაერთი საერთაშორისო მედიასაშუალება მიმართავს.

აქციაზე მობილიზებული იყვნენ შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, კრიმინალური პოლიციის და სახელმწიფო დაცვის სამსახურის წარმომადგენლები. ადგილზე იყო დაახლოებით 4-5 საპატრულო პოლიციის მანქანა, 6-7 ე.წ. დაკავების მანქანა და ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაბურულმინიანი ავტომობილები, ასევე რამდენიმე სასწრაფო დახმარების მანქანა.

აქცია სრულად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. ძალადობის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, არ დაფიქსირებულა დაპატიმრებებისა და დაკავებების არცერთი შემთხვევა.

დასკვნა

2022 წელსაც, მონიტორინგის პერიოდში გამართული საპროტესტო აქციების დაკვირვების შედეგად, გამოვლინდა სართალდამველთა არაპროპორციული ძალის მობილიზების, აქციის

²¹ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/39MOwOf>

²² ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3tVivyb>

²³ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3nq984y>

²⁴ მანიფესტი სრულად: <https://bit.ly/39N43hg>

²⁵ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3zVDzom>

²⁶ ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3Oq6Wni>

მონაწილეთა უკანონო დაკავებების შემთხვევები. აქციის მონაწილეებს კვლავ ერთმევათ დროებითი კონსტრუქციების (მათ შორის - კარვების) განთავსების შესაძლებლობა, რაც შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას წარმოადგენს.

2022 წლის 6 მაისს ბათუმში გამართულ აქციაზე იდენტიფიცირებულ სამართალდარღვევათა ანალიზის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, დგინდება, რომ არ იყო დაცული შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უფლება და შესაბამისი სტანდარტები და ხელისუფლება სამართალდამცავ ორგანოებს პოლიტიკური რეპრესიების განხორციელების იარაღად კვლავ იყენებს. აგრეთვე, ხელისუფლება რეპრესიული პოლიტიკის კიდევ ერთ იარაღად საბჭოთა პერიოდში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს იყენებს, ისე, რომ აქციის მონაწილეებს არ აქვთ სამართლიანი პროცესის გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- თავი შეიკავოს მშვიდობიანი შეკრების უფლების არაპროპორციული შეზღუდვებისგან;
- მშვიდობიანი შეკრებების დროს თავი შეიკავოს საპროტესტო კარვებისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აღმართვის აკრძალვისგან;
- გააკეთოს განმარტებები გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ და მკაფიოდ და არაორაზროვნად დაგმოს ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი მოწოდებები და ქმედებები.

საქართველოს პარლამენტს:

- გონივრულ ვადაში მიიღოს ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რითაც სრულყოფილად იქნება დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საჯარო ინტერესები და კანონის უზენაესობა.

სასამართლო ხელისუფლებას:

- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვისას გააძლიეროს სასამართლო კონტროლი დაკავებისას, სამართალდამცავთა მხრიდან, ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე.
- უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მოსამართლეთა მიერ გამოტანილ დადგენილებებში დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლება;
- შეაფასოს სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად და მათი მოპოვების კანონიერების საკითხი.
- სასამართლომ სრულფასოვნად უზრუნველყოს ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენება საქმეთა განხილვის პროცესში;

სამართალდამცავ ორგანოებს:

- პატივი სცენ მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციურ უფლებას;
- შსს-მ დემონსტრაციების მიმდინარეობისას უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება და მათი თავისუფალი და შეუფერხებელი საქმიანობა;

- შესაბამისმა უწყებებმა შეისწავლონ მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვის ფაქტები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;
- შსს-მ შეცვალოს მშვიდობიანი შეკრებების დროს კარვების/სხვა კონსტრუქციების გაშლის შეზღუდვის უკანონო და თვითნებური პრაქტიკა;
- აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველსაყოფად პოზიტიური ვალდებულების სათანადოდ შესრულების მიზნით.